სიყვარულსა შეუპყრივარ

სიყვარულსა შეუპყრივარ აწ შენსა,
	გეტრფის გული
	სურვილ რგული.
ამის ნაცვლად რად მცემ მე სენსა?

პირო მზეო, განმინათლე ბნელ გული:
	თმა გიშერო,
	ღამის ფერო,
სიგრილესა მიმეც დაგული.

მშვილდო ხრილო, ნუ მეზიდვი საკვდავად:
	განშლით მყარე
	სევდა მყარე,
ახლად მექმენ სულის ჩამდგავად!

მელნის ტბათა გარ-მდგომელნო მცველადა,
	შავნო ჰინდნო,
	მახვილთ მზიდნო,
ნუ მექმნებით მე გლახ მკვლელადა!

ღაწვნო ვარდნო, რად განმაძებთ ბულბულსა,
	ეშყის მსტვენსა,
	ტრფობის მჩვენსა,
ოდენ თქვენის ხედვით სულ-დგმულსა?!

ბაგე ლალო, მარგალიტებთა მცველო,
	მომემტკბარე,
	განმახარე
საამოთა სიტყვათა მთქმელო.

ბროლის ველო, ორთა მათ საბუდარო,
	მნათო ყელო,
	სავედრველო,
მცირ არს, რაზომცა გემუდარო!

	საროვ ნაზო, რტოთა მათ შენთა რხევა
		მტაცებს გულსა
		ხელებულსა:
	ამად მაქვს მე გრძნობათა რყევა!

	შვენებანო, აღსავსენო სიამით,

მიმიახლეთ,
განმანათლეთ, დ
შემისმინეთ მკვდარსა აჯა მით!